ტესტი გეოგრაფიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება # 1-33.*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. ჩამოთვლილთაგან რა მასშტაბის რუკაზეა გამოსახული ტერიტორია უფრო ნაკლები დეტალიზაციით?

ა. 1: 250 000

ბ. 1: 500 000

გ. 1: 1 000 000

დ. 1: 1 500 000

2. რომელი არქიპელაგი *<u>არ მდებარეობს</u>* ცხელ სარტყელში?

ა. დიდი ზონდის

ბ. ალეუტის

გ. დიდი ანტილიის

დ. ფილიპინის

3. რას აითვლიან ეკვატორიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით 0°-დან 90°-მდე?

ა. გეოგრაფიულ გრძედს

ბ. გეოგრაფიულ განედს

გ. აზიმუტის კუთხეს

დ. კარტოგრაფიულ პროექციას

4. რომელი ზღვის მონაცემებია მოცემული ცხრილში?

ზედაპირის ფართობი	371 000 კვ.კმ
მაქსიმალური სიღრმე	1025 მ
მაქსიმალური სიგრძე (მერიდიანზე)	1205 კმ
მაქსიმალური სიგანე (პარალელზე)	435 კმ
ზედაპირული ფენის მარილიანობა	11-13 ‰

ა. შავი ზღვის

ბ. ხმელთაშუა ზღვის

გ. კასპიის ზღვის

დ. წითელი ზღვის

5. გააანალიზეთ გრაფიკი და განსაზღვრეთ, რომელი გეოგრაფიული კოორდინატები შეესაბამება N პუნქტს?



ა. ჩ.გ. $15^0 09'$ დ.გ. $54^0 15'$

ბ. ჩ.გ. $59^0 25'$ ა.გ. $117^0 04'$

გ. ს.გ. $24^0 35'$ ა.გ. $58^0 22'$

დ. ს.გ. $54^0 16'$ დ.გ. $36^0 30'$

6. მთის ერთ ფერდობზე ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე იქნება ატმოსფერული წნევა უფრო მაღალი?

ა. 400 მ

ბ. 600 მ

გ. 900 მ

დ.1200 მ

7. მთის ერთ ფერდობზე განლაგებულ მეტეოსადგურებზე ერთდროულად მიმდინარეობს დაკვირვება ჰაერის ტემპერატურაზე. რომელ ჩამონათვალშია დალაგებული მეტეოსადგურები ჰაერის ტემპერატურის ზრდის მიხედვით (დაბლიდან მაღლისკენ)?

მეტეოსადგური	აბსოლუტური სიმაღლე
A	500 მ
B	1350 მ
C	860 მ
D	300 მ

ა. B, C, A, D

ბ. A, C, D, B

გ. B, D, A, C

დ. D, A, C, B

8. რომელი გეოგრაფიული ობიექტი *<u>არ მოჩანს</u>* მოცემულ ილუსტრაციაზე?

ა. სიამის ყურე

ბ. იავის ზღვა

გ. კ. კალიმანტანი

დ. კ. სულავესი

9. რომელი *<u>არ არის</u>* დედამიწაზე წყლის წრებრუნვის შემადგენელი რგოლი (ეტაპი)?

ა. ნალექები

ბ. აორთქლება

გ. კონდენსაცია

დ. წნევა

10. როგორი ქარია ფიონი?

ა. თბილი და მშრალი

ბ. ცივი და მშრალი

გ. თბილი და ნოტიო

დ. ცივი და ნოტიო

11. რა ეწოდება დედამიწის ქერქსა და მანტიის ზედა ნაწილს?

ა. ლითოსფერო

ბ. ბიოსფერო

გ. ჰიდროსფერო

დ. ეგზოსფერო

12. დიაგრამაზე მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელი რეგიონის მოსახლეობაა უფრო მეტი?



ა. გურიის

ბ. აჭარის

გ. ქვემო ქართლის

დ. შიდა ქართლის

13. რომელია ინდოეთის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა?



14. აშშ-ს რომელი შტატი მდებარეობს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე?

ა. კალიფორნიის

ბ. ჰავაის

გ. ალასკის

დ. ჯორჯიის

15. რას ასახავს მოცემული გრაფიკი?



ა. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას

ბ. საქართველოში დაბადებულთა რაოდენობის დინამიკას

გ. საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული სალდოს დინამიკას

დ. საქართველოში უცხოელი ტურისტების დინამიკას

16. გაერთიანებული სამეფოს ოთხი ადმინისტრაციული ერთეულიდან, რომელია განსაკუთრებით მდიდარი ნავთობითა და ბუნებრივი აირით?

ა. ჩრდილოეთ ირლანდია

ბ. ინგლისი

გ. უელსი

დ. შოტლანდია

17. რომელი ღვინის წარმოების მიკროზონაა მდ. რიონის ხეობაში სოფ. წესიდან სოფ. ჭრებალომდე?

ა. მუკუზანის

ბ. ქინძმარაულის

გ. ხვანჭკარას

დ. ოჯალეშის

18. ცხრილის მიხედვით რა წილი უკავია საქართველოს ექსპორტში ლითონურ წიაღისეულს?

უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული 2015 წლის იანვარ-სექტემბერში (წილი %-ში)	
ოქროს მადანი	2.8
მინერალური წყალი	3.7
ღვინო	4.0
ნედლი ნავთობი	4.5
აზოტოვანი სასუქი	5.4
სამკურნალო საშუალებები	5.9
თხილი	6.9
მსუბუქი ავტომობილები	8.6
ფეროშენადნობები	9.7
სპილენძის მადანი	11.3

ა. 9.7

ბ. 11.3

გ. 14.1

დ. 23.8

19. რაზე *ვერ ვიმსჯელებთ* ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე?

ექსპორტის მოცულობა	1 200 000 000 აშშ დოლარი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	22 000 აშშ დოლარი
ინფლაციის მაჩვენებელი	5 %
მოსახლეობის სიმჭიდროვე	78 კაცი კვ.კმ-ზე
იმპორტის მოცულობა	2 000 000 000 აშშ დოლარი
მიგრაციის სალდო	2 000 კაცი

ა. სავაჭრო ბრუნვაზე

ბ. სავაჭრო ბალანსზე

გ. მოსახლეობის ცხოვრების დონეზე

დ. მოსახლეობის რაოდენობაზე

20. ჩამოთვლილთაგან რომელ სახელმწიფოს აქვს გაეროში განსაკუთრებული უფლება?

ა. გერმანიას

ბ. ჩინეთს

გ. ინდოეთს

დ. ბრაზილიას

21. რა ქვია ფოტოზე ნაჩვენებ ნაგებობას?

ა. მურყვამი

ბ. ფაცხა

გ. ოდა

დ. ბანიანი სახლი

22. რომელ დასახლებულ პუნქტშია ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა უფრო ნაკლები?



გადასვლა

პასუხებზე

ა. ქუთაისში

ბ. გორში

გ. ჭიათურაში

დ. ახალგორში

გადასვლა რუკაზე

23. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვა?

ა. ოპეკის

ბ. ნატოს

გ. სოკის

დ. იუნესკოს

24. რომელ სახელმწიფოშია ურბანიზაციის დონე 100%?

ა. ბრაზილიაში

ბ. მონაკოში

გ. აშშ-ში

დ. სირიაში

25. ჩამოთვლილთაგან რომელი სახელმწიფო ხასიათდება მოსახლეობის ზრდის უფრო მაღალი ტემპით?

ა. რუსეთი

ბ. ლიხტენშტეინი

გ. უგანდა

დ. არგენტინა

26. რომელ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები იუდაისტური სამლოცველო?

ა.

ბ.

გ.

დ.

27. რომელ სურათზეა გამოსახული ბუდისტური რელიგიის მიმდევარი?

ა.

ბ.

გ.

დ.



28. ჩამოთვლილთაგან, რომელი დასახლებული პუნქტია დაბა?

ა. უჯარმა

ბ. წაღვერი

გ. ქობულეთი

დ. ზესხო

29. რომელი მარშრუტი შეესაბამება ვასკო და გამას მოგზაურობას?

ა.



ბ.



გ.

დ.

30. რომელი მოგზაურის მარშრუტია ასახული ილუსტრაციაზე?



ა. ამერიგო ვესპუჩის

ბ. აბელ ტასმანის

გ. ფერნანდო მაგელანის

დ. მარკო პოლოს

31. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე *<u>არ გაედინება</u>* მდინარე ბრაჰმაპუტრა?



ა. პაკისტანის

ბ. ჩინეთის

გ. ინდოეთის

დ. ბანგლადეშის

32. მსოფლიო მასშტაბით რისი მარაგის განაწილებას ასახავს მოცემული წრეწიროვანი დიაგრამა?



ა. ბუნებრივი აირის

ბ. ნავთობის

გ. ხე-ტყის

დ. მტკნარი წყლის

33. როგორი ქანები წარმოიქმნება დედამიწის ქერქში დიდ სიღრმეზე, მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის პირობებში ქანების სახეცვლილების შედეგად?

ა. მაგმური

ბ. დანალექი

გ. მეტამორფული

დ. ვულკანური

- *რუკის ანალიზი - დავალება # 34-35.*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

34. (6) ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციებს და უპასუხეთ კითხვებს:





გადასვლა კითხვებზე

34.1. რომელი სახელმწიფოა ავსტრალიის უახლოესი სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობელი?

34.2. რომელ შტატში მდებარეობს მდინარე დარლინგის სათავე?

34.3. ვინ აღმოაჩინა ავსტრალიის ყველაზე დიდი კუნძული?

34.4. რომელი შტატის ტერიტორიის ნაწილია მოცემული C ილუსტრაციაზე?

34.5. რომელ ქალაქს შეესაბამება გეოგრაფიული კოორდინატები: ს.გ.31⁰57′; ა.გ.115⁰52′?

34.6. ავსტრალიის რომელ ადმინისტრაციულ ერთეულს აქვს რანგით შტატზე უფრო დაბალი სტატუსი და მისი ფართობის 46% ნამაჯის ეროვნულ პარკს უკავია?

გადასვლა რუკაზე

35. (6) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

35.1. დაასაბუთეთ, სწორად არის თუ არა დატანილი რუკაზე მდ. ჭკუდის დინების მიმართულების მაჩვენებელი ისარი?

35.2. დაასაბუთეთ, აქვს თუ არა სამრეწველო დანიშნულება სოფ. დეკიანის მიდამოებში მდებარე ქვანახშირის მაღაროს?

35.3. გამოთვალეთ რამდენი მეტრია მდ. გეგას ვარდნა. აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

35.4. რომელი მთა მდებარეობს ზღ. დ. უფრო დაბლა?

ა. მ. იარონი
ბ. მ. ბერა
გ. მ. დოლი
დ. მ. ჟლო

35.5. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. ბერა მ. იარონიდან?

ა. 90^0
ბ. 180^0
გ. 270^0
დ. 360^0

35.6. რომელი პროფილი შეესაბამება რუკაზე დატანილ AB მონაკვეთს?










A
B
180,7
173.1
167.9
162.3
176.1
168.9
167.0
178.1
170.6
175.9
168.7
163.2
154.2
157.4
161.1
159.2
159.9
159.6
156.7
158.1
180.9
180.3
ᲓᲣᲥᲘᲐᲜᲘ
45
ᲠᲐᲢᲘᲔᲗᲘ
28
ᲘᲐᲠᲝᲜᲘ
22
ᲛᲓ. ᲨᲔᲨᲝ
ᲛᲓ. ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ
ᲛᲓ. ᲠᲔᲠᲬᲧᲐᲠᲝ
180,7 Მ. ᲛᲣᲚᲝᲦᲘ
Მ. ᲘᲐᲠᲝᲜᲘ
Მ. ᲛᲔᲠᲐ
Მ.ᲓᲝᲚᲝ
Მ. ᲧᲚᲝ
ᲛᲐᲓ.ᲜᲐᲮ
ᲐᲒ.
ᲗᲘᲮ.
ᲚᲐ
ᲬᲧᲐᲠᲝ
ᲙᲝᲚᲝ

რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2.5 მეტრში



ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)

ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით

ფლატე (ბექი) (3-ხრამის სიღრმე მ-ში)

ყორღანები (2-ყორღანის სიმაღლე მ-ში)

ორმოები (3-ორმოს სიღრმე მ-ში)

ხრამებისა და დარტაფების სიგანე ა) 3-ზე ნაკლები; ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სიგანე ზედაპირთან, 2 სიღრმე მ-ში); გ) 10-ზე დიდი გამოისახება რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიღრმე)

მცენარეული საფარი და გრუნტი

მცენარეული საფარისა და გრუნტის სახეობები და კონტურები



წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე



ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო სიმაღლე; 0.30 - მერქნის საშუალო სისქე, 5-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ბუჩქნარის ეიწრო ზოლები



ცალკეული ფოთლოვანი კორომები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი

ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენტირის მნიშვნელობა



ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე



ტყეში არსებული გაჩეხილი გზების სიგანე (4-გაჩეხილი გზის სიგანე მ-ში)



ა) მეჩხერი ტყე
ბ) გაჩეხილი ტყის ნაკვეთები

ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი (2-ბუჩქნარის საშუალო სიმაღლე მ-ში



ა) მდელო 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები



ა) სახნავი მიწები
ბ) ბოსტნები

ხის დობეები, მესერი, დობეწნულები

საგზაო ქსელი



ორლიანდაგიანი რკინიგზა

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა



ჯიხურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მილები



ჩაღრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები (2-ჩაღრმავების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)



გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიაღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა), კილომეტრაჟის ნიშნები. კილომეტრების წარწერები.



გზატკეცილი
გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-საავალი ნაწილის სიგანე მ-ში)

გრუნტის გზები

მინდვრისა და ტყის გზები

გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული ნარგავები



ხიდების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-საავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 5-ტვირთამწეობა ტ-ში
ხიდები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები; 2) 3-დან 13 მ-მდე
3 მ-მდე სიგანის მშრალი არხები

დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 – სიმაღლე მ-ში)

ჭები (169.1 – ჭის მიწისპირა ნიშნული, 3-5 – ჭის სიღრმე წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)

წყაროები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები



სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლების კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში ნაგებობებით

კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში



სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში სახლების რაოდენობა

20-დან 100-მდე

(45 - სახლების რაოდენობა)

20-ზე ნაკლები

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები



მსუბუქი კონსტრუქციის ანძები

ეკლესიები

ბოძებზე დამაგრებული გადახურვები

ქარხნები

დიაგ ტიპის კარიერები: თიხ.- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღმე მ-ში

მოქმედი მადაროები

კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზები (სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)

ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები

ჰიდროგრაფია



შრობადი ნაკადები

სანაოსნო მდინარეები

ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი, ავტოტრანსპორტისთვის გაუვალი

მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ და მეტი სიგანის გამოიხატება რუკის მასშტაბში

წყლის კიდის ნიშნულები

ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)
მდინარეების მახასიათებლები: 10-სიგანე; 1.2 - სიღრმე მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 - სიღრმე მ-ში, 10 - ფონის სიგრძე, 0,4 - დინების სიჩქარე მ/წმ

ხიდები ლითონის ერთთაღიანი

ხიდები ხის ერთთაღიანი

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აგ.	აგურის
ჯ	ჯიხური	ქ	ქვიშის
რქ.	რიყის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნაძ.	ნაძვის ხე	სს	სოფლის საკრებულო
წსნ.	წყალსაქაჩი	მყ	მყარი
თიხ	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ქვ.	ქვიშის კარიერი
ლ.	ლამი	მაღ. ნახ.	ქვანახშირის მაღარო

II ვარიანტი

- *ინფორმაციის ანალიზი - დავალება # 36-37.*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

36. (5) გააანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

2016 წელი რეზონანსული პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებით იყო გამორჩეული. ზოგიერთი მათგანი უპრეცედენტოა, ხოლო ზოგიერთი იშვიათად თუ მეორდება. ქვემოთ საუბარია ორ მოვლენაზე:

(A) გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგმა მნიშვნელოვნად „შეარყია“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება. მოსახლეობის უმრავლესობამ რეფერენდუმის მთავარ შეკითხვას ორ ადმინისტრაციულ ერთეულში დადებითად უპასუხა, ხოლო ორში - უარყოფითად.

(B) რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალები მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა ერთ-ერთი სახელმწიფოს უდიდესი ქალაქის დაბომბვას. ამავე დროს, ქალაქი ბლოკირებული იყო სახელმწიფოს სამთავრობო ჯარების მიერ. ორმილიონიანი ქალაქი თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან და განადგურდა. საფრანგეთის ინიციატივით გაეროს უშიშროების საბჭომ აღნიშნულ ქალაქზე სამხედრო ავიაციის ფრენების აკრძალვის საკითხი განიხილა, რომელიც არ იქნა მიღებული.

გადასვლა კითხვებზე

(A) მოვლენასთან დაკავშირებული კითხვები:

36.1. (1) რა სახელწოდებით არის ცნობილი რეფერენდუმის შედეგად დაწყებული პროცესი?

36.2. (1) რა შინაარსის კითხვა იყო დასმული რეფერენდუმზე და რომელმა ორმა მთავარმა ადმინისტრაციულმა ერთეულმა დაუჭირა მხარი სტატუს ქვოს[1] ცვლილებას?

36.3. (1) რა გავლენა იქონია რეფერენდუმის შედეგმა ქვეყნის მთავრობაზე?

(B) მოვლენასთან დაკავშირებული კითხვები:

36.4. (1) რომელ სახელმწიფოზეა საუბარი ტექსტში?

36.5. (1) რის გამო ვერ მოხერხდა გაეროს უშიშროების საბჭოზე საფრანგეთის ინიციატივის მიღება?

გადასვლა ტექსტზე

[1] არსებული მდგომარეობის შენარჩუნება.

37. (9) გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ქვემო ქართლი

ქვემო ქართლის უმეტესი ნაწილი ქ. თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მისი ჩრდილოეთი და დასავლეთი საზღვრის მონაკვეთები თრიალეთის, სამსარისა და ჯავახეთის ქედებს მიუყვება. რეგიონს სამხრეთიდან აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები ესაზღვრება.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქვემო ქართლის მხარე მოიცავს: ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავს. ქვემო ქართლი, თბილისის შემდეგ, სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივ მეორე ადგილზეა. მხარის ფართობი - 6528 კვ.კმ-ს, ხოლო მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 46 კაცს შეადგენს. ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი რუსთავი. მოსახლეობის 51,19% ეთნიკურად ქართველია. ქალაქ რუსთავში, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში ეთნიკურად ქართველები ჭარბობენ.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი ქვემო ქართლში 392 462 ჰა-ია, მათ შორის: სახნავი - 93 269 ჰა, ხოლო მრავალწლიანი ნარგავი – 18 975 ჰა. აქ გადის საერთაშორისო სატრანზიტო გზები.

ქვემო ქართლის ლანდშაფტები ძირითადად წარმოდგენილია ველებითა და ტყე-ველებით. მდ. მტკვრის ხეობაში შემორჩენილია ჭალის ტყეები. ჰიდროლოგიური ქსელიდან აღსანიშნავია მდინარეები: მტკვარი, ალგეთი, ხრამი, დებედა, შულავერი და სხვ. მხარეში რამდენიმე წყალსაცავია, მათ შორის საქართველოში სარკის ფართობით ყველაზე დიდი. მხარეში მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკი.

გადასვლა დიაგრამაზე; კითხვებზე



	ბოლნისი	გარდაბანი	მარნეული	წალკა	თეთრიწყარო	დმანისი
1989 წელი	81920	115140	124332	44187	36432	52208
2014 წელი	53590	81876	104300	18849	21127	19141

გადასვლა ტექსტზე; კითხვებზე

37.1. 6528*100/69700=9,36% - ქვემო ქართლის შესახებ რა მონაცემია გამოთვლილი?

ა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობის წილი მხარის ფართობში

ბ. მხარის ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში

გ. დაცული ტერიტორიების ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში

დ. ნახევრადუდაბნოების ფართობის წილი მხარის მთლიან ფართობში

37.2. რომელია ქვემო ქართლის ეკონომიკის წამყვანი დარგი?

ა. მშენებლობა; ბ. ტურიზმი; გ. მომსახურების სფერო; დ.მრეწველობა

37.3. გამოიანგარიშეთ რამდენი იყო 2014 წელს ქვემო ქართლის მოსახლეობის რაოდენობა. აუცილებლად უჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

37.4. 1989 და 2014 წლების მონაცემთა შედარებით, პროცენტულად რომელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა ყველაზე მეტად?

37.5. რომელი ეროვნების მოსახლეობა ჭარბობს მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში?

37.6. რით ახსნით რეგიონის სატრანსპორტო ქსელის საერთაშორისო მნიშვნელობას?

37.7. ქვემო ქართლში მდებარე რომელი ისტორიული კუთხის სახელი ემთხვევა ქედის სახელწოდებას?

37.8. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებლით გამოირჩევა, მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტურმა მაჩვენებელმა იკლო. დაასახელეთ ამის ძირითადი მიზეზი?

37.9. რომელი მსხვილი სამრეწველო საწარმოებით არის ცნობილი ქვემო ქართლის ქალაქები: რუსთავი და გარდაბანი?

გადასვლა ტექსტზე; დიაგრამაზე